



**საქართველო**  
**ხონის მუნიციპალიტეტის საკრებულო**  
**გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა** N 40 59

10/08/2017

**სსიპ თვითმმართველი თემი ხონის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების სახელმწიფოსათვის  
საკუთრებაში უსასყიდლოდ გადაცემის შესახებ**

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“-ს მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, 108-ე მუხლის პირველი პუნქტისა და საქართველოს კანონის „ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი“-ს 54-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად ხონის მუნიციპალიტეტის საკრებულომ გადაწყვიტა:

**მუხლი 1.** გადაეცეს სახელმწიფოს უსასყიდლოდ საკუთრებაში სსიპ თვითმმართველი თემი ხონის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, ქ.ხონი, მოსე ხონელის ქუჩა N40-ში მდებარე 3876.0კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი (ს/კ 37.07.38.740), შემდგომში სსიპ - იუსტიციის სახლისათვის სარგებლობის უფლებით გადაცემის მიზნით, სსიპ - იუსტიციის სახლის ფილიალის ხონის იუსტიციის სახლის ასაშენებლად.

**მუხლი 2.** განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს სამტრედიის რაიონულ სასამართლოში (მმები ნინუების ქ. N1) ერთი თვის ვადაში.

**მუხლი 3.** განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

ვალერი ბახტაძე

საკრებულოს თავმჯდომარე